

შპს „მულტი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. კომერციული ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	10
9. ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)	10
10. ძირითადი საშუალებები	11
11. მარაგები	12
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
13. გადასახადები	12
14. ფული და ფულის ექვივალენტები	13
15. სესხები	14
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15

შპს “მულტი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	9,581,043	7,290,585
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,765,610)	(5,777,140)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,815,433	1,513,446
კომერციული ხარჯები	6	(2,887,699)	(2,300,764)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(901,896)	(728,247)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(6,092)	(3,656)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		405,224	243,968
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,575,032)	(1,275,253)
ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)	9	(350,181)	(222,748)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(140,626)	124,164
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,065,840)	(1,373,837)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(2,065,840)	(1,373,837)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 4 თებერვალს:

ირაკლი გაგნიძე
დირექტორი

შპს “მულტი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,342,408	1,961,606
არამატერიალური აქტივები		72,578	72,082
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,414,986	2,033,689
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	2,692,306	2,102,556
გაცემული სესხები		7,134	7,134
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	610,846	333,977
საგადასახადო აქტივი	13	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	14	503,115	232,878
სულ მიმდინარე აქტივები		3,813,403	2,676,545
სულ აქტივები		7,228,389	4,710,234
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		(636,550)	(498,050)
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		3,902,879	1,836,569
სულ კაპიტალი		3,266,329	1,338,519
გრძელვადიანი სესხები	15	(2,869,423)	(1,560,320)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(2,869,423)	(1,560,320)
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		(199,961)	(37,781)
მოკლევადიანი სესხები	15	(1,286,189)	(683,251)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	(6,139,146)	(3,767,401)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		(7,625,296)	(4,488,433)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		(7,228,389)	(4,710,234)

შპს “მულტი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	232,050	(451,428)	(219,378)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(1,373,837)	(1,373,837)
კორექტირების ეფექტი		(11,305)	(11,305)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	266,000	-	266,000
31 დეკემბერი 2022	498,050	(1,836,569)	(1,338,519)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(2,065,840)	(2,065,840)
სხვა		(471)	(471)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	138,500		138,500
31 დეკემბერი 2023	636,550	(3,902,880)	(3,266,330)

1. კორპორატიული ინფორმაცია

მულტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2021 წლის 12 მაისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405460362.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, იოსებძის ქ., N 49, (ნაკვ. N17/1); ქუთათელის (ყოფ. შჩორსის) ქ., N3.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბიბლუსი, 205254892.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარჩების გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მისი გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
შენობა-ნაგებობა	45
მაღაზიის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8
ოფისის აღჭურვილობა	5-6
სატრანსპორტო საშუალება	5-8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
შენობა-ნაგებობა	45

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბუღალტრული პროგრამა	10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს მცოცავი შეფასების (FIFO) მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან

რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	9,948,385	6,703,884
შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	527,003	535,565
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5,654	51,137
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	9,581,043	7,290,585

6. კომერციული ხარჯები

	2023	2022
იჯარის ხარჯი	(569,647)	(480,550)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,119,708)	(828,696)
მარკეტინგის ხარჯი	(88,282)	(97,559)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(347,193)	(319,073)
ლოჯისტიკური ხარჯი	-	-
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(297,965)	(179,328)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(94,699)	(60,275)
სამეურნეო ხარჯი	(96,483)	(98,645)
რემონტის ხარჯი	(9,569)	(40,592)
საგადასახადო ხარჯი	(149,100)	(60,167)
ტრანსპორტირების ხარჯი	(2,460)	(10,413)
საწვავის ხარჯი	-	-
მიწოდების ხარჯი	(11,348)	(20,526)
დაცვის ხარჯი	(3,580)	(5,402)
დაზღვევის ხარჯი	-	-
პროგრამული მომსახურების ხარჯი	-	-
მივლინების ხარჯი	(3,440)	(273)
საკონსულტაციო ხარჯი	-	-
სხვა	(94,227)	(99,264)
სულ კომერციული ხარჯები	(2,887,699)	(2,300,764)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	(64,123)	(6,130)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(385,818)	(393,592)
მარაგის გაუფასურების ხარჯი	(113,299)	(49,160)
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(5,726)	(36,584)
საგადასახადო ხარჯი	(25,154)	(16,935)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(40,484)	(33,884)
იჯარის ხარჯი	(6,305)	(6,034)
სამეურნეო ხარჯი	(4,650)	(15,371)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(7,071)	(5,637)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(19,026)	(2,760)

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მივლინების ხარჯი	(8,183)	(392)
საკონსულტაციო ხარჯი	(74,497)	(42,884)
როიალტი	(114,759)	(83,118)
საწვავის ხარჯი	(19,179)	(15,174)
რემონტის ხარჯი	-	(11,606)
ქოლცენტრის მომსახურების ხარჯი	-	-
დაზღვევის ხარჯი	-	-
დაცვის ხარჯი	-	-
სხვა	(13,623)	(8,987)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(901,896)	(728,247)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-
სხვა	(6,092)	(3,656)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	(6,092)	(3,656)

9. ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ სესხებზე	-	7,134
პროცენტის ხარჯი საბანკო სესხებზე	(350,181)	(229,882)
სულ ფინანსური ხარჯი	(350,181)	(222,748)

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	შენობა-ნაგებობა	მაღაზიის აღჭურვილობა	ელექტროტექნიკა	კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2022	1,051,236	-	462,185	157,891	34,512	11,994	1,717,819
შემოსვლა	116,096	-	206,734	116,331	15,910	17,889	472,959
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
დაუმთავრებელიდან გადატანა	11,994	-	-	-	-	(11,994)	-
31 დეკემბერი 2022	1,179,326	-	668,919	274,221	50,422	17,889	2,190,777
შემოსვლა	1,033,613	-	608,821	150,048	7,396	-	1,799,878
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(88,889)	(59,026)	(1,425)	-	(149,340)
დაუმთავრებელიდან გადატანა							
31 დეკემბერი 2023	2,212,939	-	1,188,852	365,243	56,392	17,889	3,841,315
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2022	(4,389)	-	(10,995)	(3,807)	(428)	-	3,691,975
ცვეთის ხარჯი	(120,860)	-	(58,468)	(27,395)	(2,829)	-	(209,552)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(125,249)	-	(69,463)	(31,202)	(3,257)	-	3,482,423
ცვეთის ხარჯი	(152,903)	-	(99,202)	(39,885)	(3,959)	-	(295,949)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	14,746	11,347	121	-	26,213
31 დეკემბერი 2023	(278,152)	-	(153,920)	(59,740)	(7,095)	-	3,212,687
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2022	1,046,848	-	451,190	154,084	34,084	11,994	1,698,200
31 დეკემბერი 2022	1,054,078	-	599,456	243,020	47,164	17,889	1,961,607
31 დეკემბერი 2023	1,934,787	-	1,034,932	305,502	49,297	17,889	3,342,408

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სარეალიზაციო მარაგები	2,848,603	2,151,401	1,320,211
სხვა მარაგები	6,147	952	432
	2,854,749	2,152,353	1,320,643
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე შემცირება	(162,459)	(49,160)	-
სულ მარაგები	2,692,290	2,103,193	1,320,643

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	256,912	83,445	12,746
სავაჭრო მოთხოვნები	176,952	122,149	120,843
სხვა მოთხოვნები	7,463	3,387	2,531
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	441,327	208,981	136,120
მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(25,731)	(1,899)	(333)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	415,596	207,082	135,787
ავანსები დაკავშირებულ მხარეებთან	4,403	736	8,594
გაცემული ავანსები	235,372	130,393	71,450
ავანსების გაუფასურების რეზერვი	(44,525)	(4,234)	-
სულ	610,846	333,977	215,831

13. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	449,863	66,496	20,382
ფული გზაში	34,995	27,507	17,273
საღარიბოში არსებული ფულადი სახსრები	18,257	10,669	8,559
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	128,207	195,623
სულ	503,115	232,879	241,837

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სესხები

სესხები ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტებისგან	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023		სულ
					მოკლევადიანი	გრძელვადიანი	
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	13.5% - 15%	2028	ლარი	2023-2028	758,160	743,466	1,501,626
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	8.23% - 8.79%	2028	ევრო	2025-2028	528,028	2,125,957	2,653,985
					1,286,189	2,869,423	4,155,611

სესხები ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტებისგან	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2022		სულ
					მოკლევადიანი	გრძელვადიანი	
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	13.5% - 15.5%	საკრედიტო ხაზი	ლარი	2023-2028	541,412	891,583	1,432,995
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	5.5% - 6.5%	საკრედიტო ხაზი	ევრო	2025-2028	141,838	668,737	810,575
					683,251	1,560,320	2,243,571

სესხები ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტებისგან	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	1 იანვარი 2022		სულ
					მოკლევადიანი	გრძელვადიანი	
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	13.50%	საკრედიტო ხაზი	ლარი	2028	100,980	1,019,020	1,120,000
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	6.50%	საკრედიტო ხაზი	ევრო	2028	194,781	516,583	711,365
					295,762	1,535,603	1,831,365

შპს “მულტი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	4,625,299	2,162,384	1,133,293
სავაჭრო ვალდებულებები	1,448,138	1,536,247	819,084
საკონტრაქტო ვალდებულებები	2,991	(113)	-
გადასახდელი ხელფასები	61,776	45,258	20,377
მიღებული ავანსები	52	-	-
სხვა ვალდებულებები	881	23,624	33,358
სულ	6,139,137	3,767,400	2,006,112

შპს "მულტი"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	9,581,043	7,290,585
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,765,610)	(5,777,140)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,815,433	1,513,446
კომერციული ხარჯები	6	(2,887,699)	(2,300,764)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(901,896)	(728,247)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(6,092)	(3,656)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		405,224	243,968
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,575,032)	(1,275,253)
ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი)	9	(350,181)	(222,748)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(140,626)	124,164
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,065,840)	(1,373,837)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(2,065,840)	(1,373,837)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 4 თებერვალს:


ირაკლი გაგნიძე
დირექტორი

